აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 25 31.10. 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის №112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. (№09-01-08/51, 26.10.2017)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი *დავით გაბაიძე*	*უმაღლესი საბჭოს წევრი* *დავით გაბაიძე*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

26.10.2017 წელი	წამყვანი კომისია: 10.11.2017წ. სხვა კომისიები: 9.11.2017წ.	საშემოდგომო სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ზ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ზერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე".

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

დ. გაბაიძე

№ 09-01-08/54
26 10 2017
4 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112-უ.ს.შ.ს. დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 23.09.2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320040.31.056.016044).

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბაქვი,
-- ---------- 2017 წ.
N---------

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზეზებს წარმოადგენს როგორც სამართლებრივი რეგულაციები, ისე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ანაზღაურებადი სტაჟირებისთვის თანხის გამოყოფა ხდებოდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება). ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის თანახმად, პირის შრომითი ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში მიღებისათვის ცხადდება გამარტივებული საჯარო კონკურსი ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე. შესაბამისად, იმისათვის, რომ პირზე მითითებული მუხლიდან გაიცეს ანაზღაურება, ის უნდა იქნეს შერჩეული გამარტივებული კონკურსის შედეგად და მასთან უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება (მოხდეს შტატგარეშე მოსამსახურედ აყვანა). სტაჟირების პრინციპი კი ითვალისწინებს დაწესებულებასთან არა შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112 დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში საჯარო კონკურსის გზით შერჩეულ სტაჟიორთა რაოდენობა განსაზღვრულია არაუმეტეს თითო სტაჟიორით. აჭარის ავტონომური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი ჩართულია სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს კოორდინაციით მოქმედ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც რეგულირდება "საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ " საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილებით. დადგენილების თანახმად, საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორთა სავალდებულო კვოტა შეადგენს არანაკლებ შესაბამისი საჯარო დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულთა 10%-ს. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის პარალელურად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N49 ბრძანებით დამტკიცებულია უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი. ერთდროულად რამდენიმე სამართლებრივი აქტით დადგენილი რაოდენობის სტაჟიორების მიერ სტაჟირების გავლისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სათანადო პირობების შექმნა არის შეუძლებელი.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ვინაიდან, ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დარეგულირებული საკითხის გადაწყვეტა ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახლებურად რეგულირდება, ძალადაკარგულად ცხადდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის N112-უ.ს.შ.ს. დადგენილება.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

30/10/2017
N 2787

2787-09-02-11-3-201710301457

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის №112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით
(რეგ N 09-01-08/51. 26.10.2017წ)

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის №112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.
წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ემუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,
მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი